საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ფულადი გზავნილების ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის



www.sab.ge

ფულადი გზავნილების ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის

მსოფლიო ბანკის განმარტებით, „საერთაშორისო ფულადი გზავნილები ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავის სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებსა და მეგობრებს უგზავნიან“. ფულადი გზავნილების მნიშვნელობა კიდევ უფრო მაღალია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან იქ მცხოვრები მრავალი ოჯახისთვის გზავნილები შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის მონაცემებითვე, 2000 წლიდან მსოფლიოს ქვეყნებში ფულადი გზავნილების რაოდენობა განუხრელად იზრდება. მათი მოცულობა თითქმის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას უტოლდება და მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებადი ქვეყნების მიერ მიღებულ უცხოურ დახმარებას. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიგრაცია გადარჩენის სტრატეგიაა. დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა ხალხს სხვა ქვეყნებში სამუშაოს ძიებისკენ უბიძგებს.

ფულადი გზავნილების მაღალი მნიშვნელობის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ გადაწყვიტა მოკლედ მიმოეხილა, თუ რა მდგომარეობაა გზავნილების კუთხით საქართველოში.

ქართველ მიგრანტთა უმრავლესობა რუსეთში მუშაობს. შესაბამისად რუსეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების მაჩვენებელიც ყველაზე მაღალია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით რუსეთიდან გადმორიცხული თანხის მოცულობა 28,170 მლნ დოლარს შეადგენს, მეორე ადგილზეა საბერძნეთი 13,726 მლნ დოლარით, ასევე სამეულში შევიდა იტალია 8,957 მლნ დოლარით. ამავე მონაცემებით გზავნილების მთლიანი მოცულობა 81,986 მლნ დოლარს შეადგენს. ლარის ბოლოდროინდელ დევალვაციაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გზავნილების მოცულობის შემცირება იყო, რაც ძირითადად რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა და ამ ქვეყნებში ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. შედეგად ამ ორი ქვეყნიდან გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ ამ წლის თებერვლის მონაცემებს შევადარებთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ვნახავთ რომ გზავნილების მოცულობა 44%-ით არის შემცირებული.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; www.nbg.gov.ge

აღნიშნულ გრაფიკზე ვხედავთ გზავნილების დინამიკას 2010-2014 წლებში, სადაც ჩანს, რომ მათი მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა. კლება მხოლოდ 2014 წელს აღინიშნება.

რაც შეეხება საქართველოდან გადარიცხული გზავნილების მოცულობას, 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით ის 14,604 მლნ დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16%-იანი ზრდა აღინიშნება.

ფულადი გზავნილების ელექტრონულ მოძრაობას სპეციალური პროგრამები უზრუნველყოფენ. მათი არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოში დაახლოებით 20-მდე სისტემა მოქმედებს, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმეა, რომელიც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფულადი გზავნილებით მომსახურებას საქართველოში ყველა კომერციული ბანკი ეწევა. თუმცა მათგან გამორჩეული არის ლიბერთი ბანკი, რადგან გზავნილების ყველაზე მეტი სისტემა აქვს დანერგილი. აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციული ბანკების გარდა გზავნილებით მომსახურებას მომხმარებლებს ასევე მიკროსაფინასო სექტორიც სთავაზობს. იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის გზავნილების შემოდინება-გადინება ხდება ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ითქვას, რომ გზავნილების სისტემის დანერგვა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტისთვის საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. სისტემების

პირველი სამეული, როგორც ჩარიცხვების ისე გადარიცხვების მიხედვით, ასე გამოიყურება: Zolotaia Korona: ჩარიცხვა - მთლიანი საბაზრო წილის 20%, გადარიცხვა - მთლიანი საბაზრო წილის 34%; Western Union: ჩარიცხვა - 18%, გადარიცხვა- 23%; Unistream: ჩარიცხვა - 11%, გადარიცხვა - 7%.

რეალურად რომ გავიგოთ გზავნილების მნიშვნელობა, ის უნდა განვიხილოთ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. საქართველოს 2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი 26,8 მლრდ ლარს შეადგენს (2014 წლის მონაცემი ჯერ არ არის დათვლილი), ხოლო წმინდა გზავნილები (სხვაობა ქვეყანაში ჩარიცხულ და ქვეყნიდან გადარიცხულ გზავნილებს შორის) შეადგენს 2,5 მლრდ ლარს (2013 წლის მონაცემებით). გზავნილები ჩვენი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9,3%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

დასკვნა

ფულადი გზავნილების თემისადმი საზოგადოებას და სახელმწიფოს უფრო სერიოზული მიდგომა მართებს. ძალზე მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების ზეგავლენისა და მნიშვნელობის გააზრება და გზავნილების მართვის უფრო ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების გზების ძიება. მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების სწორად მართვა, რათა ისინი პოტენციური ზრდის შესაძლებლობად იქცეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფულადი გზავნილები საქართველოში შემოსული გრანტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს აღემატება, ფულად გზავნილებს შეიძლება შევხედოთ, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფაქტორს ჩვენი ქვეყნების განვითარებისთვის. მიგრანტთა ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა, რაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, შეიძინონ საიმპორტო საქონელი ან გადაიხადონ საგარეო ვალები. ამავე დროს, ჩვენი ეკონომიკა ძალზე მგრძნობიარეა საგარეო შოკების მიმართ, უცხოეთიდან ფულადი გზავნილები კი ამ საგარეო შოკებისგან დამცავი ბუფერის ფუნქციას ასრულებს. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და განვითარების ხელშემწყობი ოფიციალური დახმარების სხვადასხვა წყაროებისგან განსხვავებით, ფულადი გზავნილებისთვის არ არის დამახასიათებელი უკუნაკადები პროცენტის, ვალის ან დივიდენდის გადახდის ფორმით.

www.sab.ge